გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 36

2020 წლის 13 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.15.172) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 27 იანვრის N5/5082 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, ქალაქ გორის, შინდისის გზატკეცილის მიმდებარედ გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოჯვნისა და გამოჯნული ნაწილი ფართის (ს.კ. 66.45.15.172) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესიდან გამომდინარე საჭიროა, აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცვლა არჩილ ოქროპირიძის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.45.15.024), კომბინატის დასახლებისა და წმინდაწყლის დასახლების დამაკავშირებელი ხიდის მოწყობისა და გზის ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ფართი, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, რათა შემგომში კანონის შესაბამისად მოხდეს უძრავი ქონების მონაცვლეობის განხორციელება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2020 წლის 27 იანვრის N5/5082 წერილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქი გორი, შინდისის გზატკეცილი მიმდებარედ ფართი 117 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N 66.45.15.172;
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

GORI MUNICIPALITY ASSEMBLY * 218086087 *